

ბრძანება №01-34/ნ

2014 წლის 6 ივნისი

ქ. თბილისი

„მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა ნუსხის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №147/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა ნუსხის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №147/ნ (სსმ, 2007 წ., №69, მუხ.760) ბრძანებით დამტკიცებულ დანართ №1-ს (მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა თანდართული ნუსხა) „თავი XXIX“-ის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „თავი XXX“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი XXX. ეროვნული არქივი

მუხლი 540. ეროვნული არქივის თანამშრომელი

1. თანამშრომლები დასაქმებულნი არქივსაცავებში.
2. თანამშრომლები დასაქმებულნი საარქივო დოკუმენტების რესტავრაციაზე.
3. თანამშრომლები დასაქმებულნი საარქივო დოკუმენტების სკანირებაზე.
4. თანამშრომლები დასაქმებულნი საარქივო დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკურ დამუშავებაზე.”.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო

